



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 04/10/2017 წ. - ოქმი №11 (დანართი #4)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია  
წაკითხული და მიღებულია  
ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური \_\_\_\_\_

დაამტკიცა: მმართველი საბჭო \_\_\_\_\_

დოკუმენტის No: IBSU.R7G

ვერსია: 3.00

განახლების

თარიღი:

26/12/2022

დამტკიცების თარიღი:

შემოწმებული ვერსია

შემოწმებული ვერსია

04/10/2017

იბსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო  
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ  
ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები.....	3
ცვლილებების ნუსხა.....	4
თავი I. ზოგადი დებულებები.....	6
მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები.....	6
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....	6
მუხლი 3. ქცევის ზოგადი წესები.....	7
თავი II. დისციპლინარული სანქციები.....	8
მუხლი 4. დისციპლინური სახდელი.....	8
მუხლი 5. დისციპლინური დარღვევები.....	8
მუხლი 6. კომპენსაცია და შეზღუდვა.....	13
მუხლი 7. სანქციები იმ დისციპლინური დარღვევებისათვის, რომელიც არ არის წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული.....	13
თავი III. დისციპლინური წარმოება.....	14
მუხლი 8. დისციპლინური წარმოების პრინციპები.....	14
მუხლი 9. უფლებამოსილი პირი / ორგანო.....	14
მუხლი 10. დისციპლინური წარმოების ვადები.....	15
მუხლი 11. მოკვლევის ეტაპი.....	15
მუხლი 12. სტუდენტის უფლებები დისციპლინური დევნის პროცესში.....	16
მუხლი 13. დისციპლინური წარმოების პროცესში გამოყენებული ზომები.....	17
მუხლი 14. დისციპლინური კომისიის სხდომის წარმართვის პროცედურული წესები.....	17
მუხლი 15. საჯარო მოსმენა.....	17
მუხლი 16. დისციპლინური სახდელის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.....	18
მუხლი 17. დისციპლინური სახდელის შეფარდება.....	18
მუხლი 17 <sup>1</sup> . მარტივი დისციპლინური დევნა.....	19
მუხლი 17 <sup>2</sup> . მარტივ დისციპლინურ დევნას დაქვემდებარებული დისციპლინარული გადაცდომების განხილვა.....	19
მუხლი 18. შეტყობინებები.....	20
მუხლი 19. მასალების დაარქივება.....	20
მუხლი 20. კონფიდენციალობა.....	20
მუხლი 21. დასკვნითი დებულებები.....	20

**შეტანილი ცვლილებები**

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	№	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	9	30.04.2018
2.	აკადემიური საბჭო	18	30.09.2019
3.	აკადემიური საბჭო	1	13.01.2020
4.	აკადემიური საბჭო	21	19.11.2020
5.	მმართველი საბჭო <sup>1</sup>	1	01.11.2021
6.	მმართველი საბჭო	2	26.12.2022
7.	მმართველი საბჭო	3	26.12.2022
8.	მმართველი საბჭო	4	26.12.2022
9.	მმართველი საბჭო	5	26.12.2022
10.	მმართველი საბჭო	8	26.12.2022
11.	მმართველი საბჭო	9	26.12.2022
12.	მმართველი საბჭო	13	26.12.2022
13.	მმართველი საბჭო	21	26.12.2022

**თავდაპირველი ვერსია: 04.10.2017**

<sup>1</sup> უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით 2021 წლის 01 ნოემბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

№	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	30.04.2018	2	ტერმინთა განმარტებები
02	30.04.2018	4	დისციპლინური სახდელი
03	30.04.2018	5	დისციპლინური დარღვევები
04	30.04.2018	171	მარტივი დისციპლინული დევნა
05	30.04.2018	172	უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის მოხმარება
06	30.09.2019	2	ტერმინთა განმარტებები
07	30.09.2019	5	დისციპლინური დარღვევები
08	30.09.2019	9	უფლებამოსილი პირი / ორგანო
09	13.01.2020	2	ტერმინთა განმარტებები
10	13.01.2020	4	დისციპლინური სახდელი
11	13.01.2020	11	მოკვლევის ეტაპი
12	13.01.2020	12	სტუდენტის უფლებები დისციპლინური დევნის პროცესში
13	19.11.2020	9	უფლებამოსილი პირი / ორგანო
14	19.11.2020	19	მასალების დაარქივება
15	01.11.2021	9	უფლებამოსილი პირი / ორგანო
16	01.11.2021	15	საჯარო მოსმენა
17	01.11.2021	17	დისციპლინური სახდელის შეფარდება
18	26.12.2022	1	მოქმედების სფერო და ფარგლები
19	26.12.2022	2	ტერმინთა განმარტებები
20	26.12.2022	3	ქცევის ზოგადი წესები
21	26.12.2022	4	დისციპლინური სახდელი
22	26.12.2022	5	დისციპლინური დარღვევები
23	26.12.2022	8	დისციპლინური წარმოების პრინციპები
24	26.12.2022	9	უფლებამოსილი პირი / ორგანო

25	26.12.2022	13	დისციპლინური წარმოების პროცესში გამოყენებული ზომები
26	26.12.2022	17 <sup>1</sup>	მარტივი დისციპლინარული დევნა
27	26.12.2022	17 <sup>2</sup>	მარტივ დისციპლინარულ დევნას დაქვემდებარებული დარღვევების განხილვა
28	26.12.2022	21	დასკვნითი დებულებები

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

- 1.1 წინამდებარე დებულება აწესრიგებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „იბსუ“) სტუდენტების დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობის, იბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და იბსუ-ს სხვა დებულებებთან და შიდა აქტებთან ერთად.
- 1.2 წინამდებარე დებულება ადგენს სტუდენტთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული წარმოების წესებს.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1 **დისციპლინური კომისია:** იბსუ-ს სკოლის საბჭო/მარტივი დისციპლინური დევნის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18.*  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*
- 2.2 **კამპუსი:** იბსუ-ს მთლიანი ტერიტორია (მათ შორის დამხმარე ფართი);  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*
- 2.3 **უფლებამოსილი პირი:** დისციპლინარულ წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო;
- 2.4 **ფინანსური დახმარება:** იბსუ-ს მიერ სტუდენტისათვის სწავლის პერიოდში გაწეული დახმარება, რომელიც შესაძლებელია გამოხატული იყოს სწავლის საფასურისაგან გათავისუფლების, ფინანსური შეღავათის, სტიპენდიის, გრანტის ან ნებისმიერი სხვა ფორმით.  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*
- 2.5 **მარტივი დისციპლინური დევნა:** წინამდებარე წესის 17<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად განხორციელებული დისციპლინური დევნა.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.*
- 2.6 **ფორმალური დისციპლინური დევნა:** წინამდებარე წესის შესაბამისად განხორციელებული დისციპლინური დევნა (გარდა მე-17<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული დევნისა).  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.*

### მუხლი 3. ქცევის ზოგადი წესები

3.1 იბსუ-ს სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის წესები, პერსონალთან და სტუდენტებთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები, უნივერსიტეტში შესვლისა და გასვლის წესი.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

3.2 დაცვის სამსახურის მიერ გაცემული მითითება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო წესრიგის შენარჩუნებასთან, სავალდებულოა იბსუ-ს ყველა სტუდენტისათვის.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

3.3 წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, იბსუ-ს დაცვის სამსახური უფლებამოსილია დამრღვევის მიმართ მიიღოს შესაბამისი ზომები. თუ ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, დაცვის სამსახური ვალდებულია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

## თავი II. დისციპლინარული სანქციები

### მუხლი 4. დისციპლინური სახდელი

4.1 იბსუ-ში მოქმედებს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

4.1.1 გაფრთხილება: სტუდენტი იღებს წერილობით გაფრთხილებას.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

4.1.2 საყვედური: სტუდენტი იღებს საყვედურს წერილობითი ფორმით. საყვედურის ასლი ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

4.1.3 კომპენსაცია: უნივერსიტეტის ქონების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი დაზიანებული/განადგურებული/დაკარგული ქონების სანაცვლოდ იხდის ფულად თანხას.

4.1.4 შეზღუდვა: სტუდენტის უფლების შეზღუდვა მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, თუ მისი ქმედება საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, იბსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

4.1.5 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა: სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*

### მუხლი 5. დისციპლინური დარღვევები

5.1 მოცემული ზომები წარმოადგენს დისციპლინარული დარღვევის მინიმალურ სახდელს. დისციპლინურ წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სახდელის სახეს, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.



		გაფრთხილებული	საყვედურო	სტატუსის	შეწყვეტა
5.1.1	<b>წესრიგის დამრღვევი ქმედება</b>				
5.1.1.1	ამორალური, არაეთიკური და/ან უხამსი ქმედება, რომელიც განხორციელდა კამპუსის შიგნით და/ან კამპუსის გარეთ იბსუ-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებში. <i>ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.</i>	x			
5.1.1.2	მოქმედება, რომელიც აბრკოლებს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას და/ან უნივერსიტეტის ან რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილის ფუნქციონირებას და უხეშად ერევა მასში (ყვირილი, დერეფნაში აურზაური, წესრიგის დარღვევა, საგანმანათლებლო პროცესის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა და ა.შ.)	x			
5.1.1.3	სამეცნიერო ხასიათის შეხვედრების ხელისშემშლა - ხმამაღალი საუბარი (მათ შორის მობილურ ტელეფონზე) და ა.შ	x			
5.1.1.4	შეხვედრებზე, სემინარებსა და ლექციებზე შემფოთების შეტანა	x			
5.1.1.5	პირადობის მოწმობის (სტუდენტის ბარათის) ჩვენებაზე უარის თქმა უნივერსიტეტის ოფიციალური პირის მოთხოვნის საპასუხოდ, როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს	x			
5.1.1.6	უნივერსიტეტის უსაფრთხოების ნებისმიერი აღჭურვილობის (მათ შორის ცეცხლსაწინააღმდეგო აღჭურვილობისა და განგაშის სიგნალის) არამიზნობრივი გამოყენება	x			

5.1.2 აკადემიური პატიოსნების დარღვევა		გაფრთხილებული	საყვედური	სტატუსის შინაიზა
5.1.2.1	პლაგიატი - სხვისი ნაშრომის გამოყენება ან მითვისება წყაროს მითითების გარეშე და ამგვარად მცდელობა, რომ ასეთი ნაშრომი წარმოდგენილ იქნეს როგორც საკუთარი		X <sup>2</sup>	
5.1.2.2	აკადემიური მასალების კომერციული გამოყენება - კონსპექტებისა და სხვა მასალებისა გაყიდვა უნივერსიტეტის წერილობითი ნებართვის გარეშე		x	
5.1.2.3	სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის განხორციელებაში ხელშეწყობა		x	
5.1.3 პირადი შეურაცხყოფა		გაფრთხილებული	საყვედური	სტატუსის შინაიზა
5.1.3.1	უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნებისმიერი პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფა ან მუქარა ფიზიკური შეურაცხყოფით		x	
5.1.3.2	ენის, ეროვნების, კანის ფერის, რელიგიის ან სხვა საფუძვლით დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება		x	
5.1.3.3	ნებისმიერი პიროვნების სიტყვიერი ან წერილობითი შეურაცხყოფა, რაც შეიცავს უწესო, უხეში და შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებასა და ქცევის მანერას	x		

<sup>2</sup> ნაშრომი და მისი თანმდევი შედეგები (ნაშრომის საფუძველზე აკადემიური ხარისხის მინიჭება, საგნის ჩაბარებულად ჩათვლა და ა.შ.) გაუქმდება.

5.1.4 მავნე ჩვევები და ამორალური საქციელი		გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
	აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, კარტის თამაში კამპუსის ტერიტორიაზე.	x		
5.1.4.1	<i>ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.</i>			
5.1.4.2	კამპუსის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საუნივერსიტეტო აქტივობებში (შეხვედრა, საველე სამუშაო და ა.შ) ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა		x	
5.1.4.3	კამპუსის ტერიტორიაზე არამორალური, არაეთიკური ხასიათის პოსტერების და ფლაერების გავრცელება		x	
5.1.4.4	უნივერსიტეტის შენობაში და ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის მოხმარება (გარდა თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა)	x		
5.1.4.5	უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის დისციპლინური წარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა		x	
5.1.4.6	უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების, ცივი და/ან ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება და სხვა		x	
5.1.5 აგრესიული მოქმედება/ ვანდალიზმი		გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.5.1	ოფიციალური განცხადებების დახვევა, დაზიანება, განადგურება, დასვრა, მოპარვა	x		
5.1.5.2	პოსტერების და პლაკატების განთავსება ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე	x		
5.1.5.3	ცრუ/არასწორი ინფორმაციის შემცველი საჩივრების წარდგენა. იბსუ-ს თანამშრომელთათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა		x	
	<i>ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.</i>			

5.1.5 აგრესიული მოქმედება/ ვანდალიზმი		გაფრთხილებული	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.5.4	უნივერსიტეტის კუთვნილი ან დროებით სარგებლობაში მყოფი მოძრავი/უძრავი ქონების დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება		x	
5.1.5.5	უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ/დამხმარე საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის ლეგიტიმური მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა		x	
5.1.6 გამოცდების წესების დარღვევა		გაფრთხილებული	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.6.1	გამოცდაზე საგამოცდო ბარათის/სტუდენტური ბარათის წარუდგენლობა		x	
5.1.6.2	დამკვირვებლისადმი უზრდელობა, უტაქტო საქციელი		x	
5.1.6.3	გადაწერა ან გადაწერის მცდელობა ნებისმიერი, მათ შორის ტექნიკური საშუალებით		x*	
5.1.6.4	საგამოცდო ნამუშევრის ჩაბარებისა და დამკვირვებლის ნებართვის გარეშე საგამოცდო ოთახის დატოვება		x*	
5.1.6.5	საგამოცდო პროცესის ჩაშლა		x	
5.1.6.6	საგამოცდო ოთახში არსებული საჩვენებელი მასალის დაზიანება		x	
5.1.6.7	საგამოცდო ფურცლის, პასუხების ფურცლის დახევა		x*	
5.1.6.8	სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლა/ სხვისი შეშვება გამოცდაზე		x*	

x\*: გამოცდის შედეგი განუღდება

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18.

**მუხლი 6. კომპენსაცია და შეზღუდვა**

- 6.1 კომპენსაცია და შეზღუდვა, როგორც დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები შესაძლებელია სტუდენტს შეეფარდოს დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მუხლი 7. სანქციები იმ დისციპლინური დარღვევებისათვის, რომელიც არ არის წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული**

- 7.1 ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, მაგრამ არ შეესაბამება უნივერსიტეტში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს და აქვს დისციპლინური დარღვევის ხასიათი, მისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია იყოს დასჯადი.
- 7.2 სტუდენტები ვალდებული არიან დაემორჩილონ წესებს, რომლებიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში, საერთო საცხოვრებელში და უნივერსიტეტის/კამპუსის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში. აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

### თავი III. დისციპლინური წარმოება

#### მუხლი 8. დისციპლინური წარმოების პრინციპები

- 8.1 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.
- 8.2 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, იბსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

- 8.3 დისციპლინური კომისია უფლებამოსილია დაადგინოს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დარღვევისათვის დადგენილისგან განსხვავებული პასუხისმგებლობის ზომები, დისციპლინური დარღვევის ხასიათიდან, შინაარსიდან და სიხშირიდან გამომდინარე. ამასთან, თუკი ქმედება მოიცავს რამდენიმე დისციპლინურ დარღვევას, პირს შეეფარდება ყველაზე მძიმე დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა.

#### მუხლი 9. უფლებამოსილი პირი / ორგანო

- 9.1 სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრა შეუძლია როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს და ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს.
- 9.2 ამ მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის თაობაზე ხორციელდება მიმართვა შესაბამისი სკოლის საბჭოს წინაშე, რომელიც წინამდებარე დებულების მიზნებისათვის წარმოადგენს დისციპლინურ კომისიას.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18.*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

- 9.3 დისციპლინური კომისია უფლებამოსილია სტუდენტს შეუფარდოს დისციპლინური სახდელი წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით და ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.*

- 9.4 დისციპლინური კომისიის მიერ სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის სახით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხზე

საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო, რის თაობაზეც გამოიცემა რექტორის აქტი.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*

#### **მუხლი 10. დისციპლინური წარმოების ვადები**

- 10.1 დისციპლინური წარმოება იწყება დისციპლინური კომისიისათვის დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს მოკვლევაზე პასუხისმგებელი პირი.
- 10.2 დისციპლინური წარმოება უნდა დასრულდეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 10.3 დისციპლინური კომისია შეისწავლის მოკვლევაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისთვის წარდგენილ მოკვლევის მასალებს და ნიშნავს საჯარო მოსმენის დროსა და ადგილს.
- 10.4 საჯარო მოსმენის შესახებ სტუდენტს ეცნობება საჯარო მოსმენამდე 3 კალენდარული დღით ადრე ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 10.5 თუ დისციპლინური სახდელის შეფარდება არ განხორციელდა დარღვევის განხორციელებიდან 2 სემესტრის განმავლობაში, სტუდენტს სახდელი აღარ შეეფარდება.

#### **მუხლი 11. მოკვლევის ეტაპი**

- 11.1 მოკვლევა წარმოადგენს დისციპლინური დევნის საწყის ეტაპს, რომელსაც ახორციელებს დისციპლინური კომისიის მიერ განსაზღვრული პირი ან თავად კომისია, მის წინაშე წარდგენილი მასალების საფუძველზე.
- 11.2 მოკვლევა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც საჭიროა დისციპლინური დევნის სრულყოფილი წარმართვისათვის (მათ შორის მოწმეთა დაკითხვა, შემთხვევის ადგილის შემოწმება, მტკიცებულებების მოპოვება და საჭიროების შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის მიღება).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*

- 11.3 დისციპლინური დევნის პროცესში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია აისახება დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებაში.
- 11.4 უნივერსიტეტის პერსონალი (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული) ვალდებულია მომკვლევს მიაწოდოს მის ხელთ არსებული საჭირო

ინფორმაცია/დოკუმენტაცია და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მოკვლევის პროცესს.

- 11.5 დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს.
- 11.6 დისციპლინური წარმოების პროცესში გამოყენებული მტკიცებულებები უნდა იყოს ლეგიტიმური.

## მუხლი 12. სტუდენტის უფლებები დისციპლინური დევნის პროცესში

- 12.1 დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
  - 12.1.1 წერილობითი ფორმით მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
  - 12.1.2 დაესწროს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
  - 12.1.3 მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
  - 12.1.4 მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური კომისიის მიერ მტკიცებულებების გამოკვლევაში;
  - 12.1.5 მოითხოვოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის საჯარო სხდომაზე განხილვა.
- 12.2 დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე სტუდენტს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*
- 12.3 სტუდენტისათვის გაგზავნილი შეტყობინება საჯარო მომსმენის დროისა და ადგილის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას ამ მუხლის 12.4 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების შესახებ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*
- 12.4 საჯარო მოსმენაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა (გარდა 12.5. პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა) არ შეაჩერებს საქმის განხილვას. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ სტუდენტმა გამოიყენა დაცვის უფლება და გადაწყვეტილების მიღება მოხდება მოკვლევის მასალებსა და საჯარო მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით.



- 12.5 თუ საჯარო მოსმენაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა განპირობებულია საპატიო მიზეზით (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტს ადგენს დისციპლინური კომისია) სტუდენტი უფლებამოსილია მისი პოზიცია წარადგინოს წერილობითი ფორმით ან განცხადებით მიმართოს დისციპლინურ კომისიას საჯარო მოსმენის გადატანის შესახებ.

### **მუხლი 13. დისციპლინური წარმოების პროცესში გამოყენებული ზომები**

- 13.1 თუ სტუდენტის ქმედება საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, იბსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას, მომკვლევ უფლებამოსილია მოითხოვოს დისციპლინური წარმოების მიმდინარეობის ვადით შეიზღუდოს სტუდენტის უფლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. სტუდენტის უფლების შეზღუდვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური კომისია.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

### **მუხლი 14. დისციპლინური კომისიის სხდომის წარმართვის პროცედურული წესები**

- 14.1 დისციპლინური კომისია იკრიბება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ დროსა და ადგილას.
- 14.2 დისციპლინური კომისიის მდივანი ახდენს შეხვედრისათვის საჭირო საკითხების ორგანიზებას და კომისიის წევრების ინფორმირებას სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.
- 14.3 დისციპლინური კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
- 14.4 გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით. წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს საკითხის მომხრედ ან მოწინააღმდეგ. წევრს არ აქვს უფლება შეიკავოს თავი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარ რაოდენობად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, მდივანი და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

### **მუხლი 15. საჯარო მოსმენა**

- 15.1 დისციპლინური კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს მოკვლევის მასალების შესწავლის მიზნით, საჯარო მოსმენის გარეშე. მოკვლევის მასალების შესწავლის შემდეგ ტარდება საჯარო მოსმენა.

- 15.2 საჯარო მოსმენაზე ხდება მოკვლეული მასალების წარდგენა და სტუდენტის მიერ მისი პოზიციის დაფიქსირება. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებულ საკითხზე განმარტება მიიღოს სხვა პირებისაგანაც, დასვას შეკითხვები, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.
- 15.3 მოკვლევის მასალებისა და საჯარო მოსმენაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ. ამასთან, დისციპლინური სახდელის სახით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის განსაზღვრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ეგზავნება მმართველ საბჭოს შემდგომი განხილვისათვის.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*

## **მუხლი 16. დისციპლინური სახდელის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი საკითხები**

- 16.1 დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:
- 16.1.1 ქმედების სიმძიმე/ხარისხი;
  - 16.1.2 ქმედების ჩადენის მომენტში სტუდენტის განზრახვა;
  - 16.1.3 დისციპლინური გადაცდომის განმეორებითი ჩადენის ფაქტის არსებობა;
  - 16.1.4 სტუდენტის ზოგადი დახასიათება (პიროვნული, აკადემიური);
  - 16.1.5 სტუდენტის მიერ გამოთქმული პოზიცია დისციპლინური გადაცდომის თაობაზე.

## **მუხლი 17. დისციპლინური სახდელის შეფარდება**

- 17.1 დისციპლინური სახდელის შეფარდება მოხდება საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, გარდა დისციპლინური სახდელის სახით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შეფარდებისა.
- 17.2 დისციპლინური სახდელის სახით, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შეფარდების შემთხვევაში, სახდელის შეფარდება მოხდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის აქტით.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.*

**მუხლი 17<sup>1</sup>. მარტივი დისციპლინური დევნა**

- 17<sup>1.1</sup> ამ მუხლით განსაზღვრული დისციპლინარული გადაცდომის მიმართ ხორციელდება მარტივი დისციპლინური დევნა.
- 17<sup>1.2</sup> მარტივი დისციპლინური დევნის მიმართ არ გამოიყენება ამ წესის მე-8 მუხლის 8.3 პუნქტის, მე-9 – მე-17 მუხლებით დადგენილი წესები (გარდა მე-12 მუხლის 12.1.1 და 12.1.5 პუნქტებისა).
- 17<sup>1.3</sup> მარტივი დისციპლინური დევნა არ გამორიცხავს იმავე დარღვევის განმეორების შემთხვევაში ფორმალური დისციპლინური დევნის განხორციელების შესაძლებლობას.
- 17<sup>1.4</sup> თუ ქმედება განეკუთვნება მარტივი დისციპლინური დევნის წესით განსახილველი დარღვევის კატეგორიას, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მისი განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს ფორმალური დისციპლინური დევნის წესით.
- 17<sup>1.5</sup> მარტივი დისციპლინური დევნით განიხილება:
- ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის მოხმარების წესების დარღვევასთან დაკავშირებული გადაცდომა;
  - ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, კარტის თამაში კამპუსის ტერიტორიაზე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39.*

**მუხლი 17<sup>2</sup> მარტივ დისციპლინურ დევნას დაქვემდებარებული დისციპლინარული გადაცდომების განხილვა**

- 17<sup>2.1</sup> მარტივ დისციპლინურ დევნას დაქვემდებარებული დისციპლინარული გადაცდომების შემთხვევაში, უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი უფლებამოსილია სტუდენტს მისცეს წერილობითი გაფრთხილება.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #9.*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39.*

### მუხლი 18. შეტყობინებები

- 18.1 რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი, საფოსტო მისამართი/ელექტრონული ფოსტა ჩაითვლება სტუდენტის ოფიციალურ საკონტაქტო ინფორმაციად და აღნიშნულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სტუდენტისათვის გაგზავნილ შეტყობინებად.
- 18.2 სტუდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის სიზუსტეზე. თუ სტუდენტის მიერ მითითებულია არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია, აღნიშნული არ იწვევს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას შეტყობინების არასწორ/არაზუსტ მისამართზე გაგზავნის შესახებ.

### მუხლი 19. მასალების დაარქივება

- 19.1 დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები წარმოების მიმდინარეობისას ინახება უფლებამოსილ პირთან. დისციპლინური დევნის საფუძველზე, სტუდენტისათვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, მასალები ეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.*

### მუხლი 20. კონფიდენციალობა

- 20.1 დისციპლინარული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობა. უნივერსიტეტის თანამშრომლის მხრიდან კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

### მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

- 21.1 საკითხები რომელიც არ წესრიგდება ამ დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, იბსუ-ს ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შინაგანაწესითა და სხვა დებულებებითა და შიდა აქტებით.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

- 21.2 წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილება შედის მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.
- 21.3 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #39.*

21.4 წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს რექტორი.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131  
თბილისი, საქართველო  
[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

